გურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

# *26 Eylül / სექტემბერი 2023*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 736.4 | 6671.9 | 10.1% | 17.3 % | 0.9% |

**Birleşmiş Milletler 78. Genel Kurulu**

**გაეროს გენერალური ასამბლეის 78- ე სესია**



Başbakan İrakli Garibashvili'nin önderliğindeki Gürcistan heyeti New York'ta yerini alan Birleşmiş Milletler 78. Genel Kurulu'nun Genel Tartışmasının açılışına iştirak etti.

Genel Tartışmaların açılış oturumuna katılanlara Birleşmiş Milletler Genel Sekreteri Antonio Guterres, Genel Kurul Başkanı Dennis Francis, Amerika Birleşik Devletleri Cumhurbaşkanı Joseph Biden ve başka liderler hitap etmişlerdir.

Oturumda Gürcistan Başbakanı İrakli Garibashvili de konuşma yaptı.

Hükümet Başkanı konuşmasında Gürcistan tarafından yapılan ekonomik ve demokratik reformlardan, ayrıca Gürcistan'ın Avrupa Birliği'ne entegrasyonu yolunda kaydetmiş ilerlemesinden bahsetmiş olup ülkeye aday statüsü verilmesinin önemini vurguladı.

İrakli Garibashvili dünyadaki zorluklara ilgi çekip üstesinden gelinmesi için birleşmiş gayretlerin öneminin altını çizdi.

Gürcistan Başbakanı bununla birlikte ülkenin işgal altındaki topraklarda mevcut durumundan ve çatışmaların barışçıl yönleriyle çözülmesinin öneminden bahsetti.

საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიის გენერალური დებატების გახსნას დაესწრო.

გენერალური დებატების გახსნითი სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა, გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტმა დენის ფრანცისმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა და სხვა ლიდერებმა.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC Waikiki · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

მთავრობის მეთაურმა თავის გამოსვლაში საქართველოს მიერ გატარებულ ეკონომიკურ და დემოკრატიულ რეფორმებზე, ასევე - ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ პროგრესზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას.
ირაკლი ღარიბაშვილმა მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება და მათ დასაძლევად ერთიანი ძალისხმევის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.
პრემიერ-მინისტრმა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ასევე ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მნიშვნელობაზე.

## Irakli Garibashvili Çekya Cumhurbaşkanı Petr Havel İle Bir Araya Geldi

## ირაკლი ღარიბაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს პეტრ პაველს შეხვდა



Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili Çekya Cumhurbaşkanı Petr Havel ile bir araya geldi.

New York'ta yerini almış görüşmede iki ülke arasında çeşitli alanlardaki mevcut işbirliğinin sonraki ilerlemesinin perspektifleri ele alındı.
Gürcistan Başbakanı Çekya'nın daima Gürcistan'ın dış politikasındaki önceliklerinin destekçisi olduğunu ve son yıllarda ikili ziyaretlerin önemli sayıda artmasının olumlu olduğunu kaydetti.
Garibashvili Çekya Cumhuriyeti'nin vermiş olduğu siyasi ve pratik desteğinin Gürcistan'a Avrupa Birliği'ne üye olma sürecinin sonraki aşamalarda yardımda bulunacağını belirtti.
Gürcistan Başbakanı Çekya Cumhurbaşkanı'na hükümet tarafından Avrupa Birliği'ne entegrasyonu yolunda atılmış adımlar ve AB tarafından verilmiş 12 tavsiyenin uygulanma dinamiklerine dair bilgi verdi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს პეტრ პაველს შეხვდა.
ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში არსებული თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების პერსპექტივებზე იმსჯელეს.
პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩეხეთი ყოველთვის იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების მტკიცე მხარდამჭერი და მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში ორმხრივი ვიზიტების ინტენსივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკის პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა დაეხმარება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ეტაპებზე.
პრემიერ-მინისტრმა ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებსა და 12 რეკომენდაციის შესრულების დინამიკაზე მიაწოდა ინფორმაცია.

## İlia Darchiashvili T.C. Dışişleri Bakanı İle Bir Araya Geldi

## ილია დარჩიაშვილი თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა



Gürcistan Dışişleri Bakanı Birleşmiş Milletler 78. Genel Kurulu kapsamında T.C. Dışişleri Bakanı ile bir araya geldi.
İlia Darchiashvili ile Hakan Fidan iki ülkenin stratejik ortaklığının esas konuları ele aldılar.
Bakanlar Genel Kurulu kapsamında Gürcistan Başbakanı ile T.C. Cumhurbaşkanının bir araya gelmelerinden dolayı memnuniyetini ifade etmiş olup söz konusu görüşmenin iki ülkenin dostluğu ve ortaklığın bir başka simgesi olduğunu dile getirdiler.
Taraflar bölgedeki duruma özel bir dikkat verdiler.
Bakanlar bölgenin sürdürülebilir ve istikrarlı kalkınması için barış sağlanmasının bir vazgeçilmezi olduğunu ve bu süreçte hem Gürcistan'ın, hem de Türkiye'nin özel bir rolünü vurguladılar.
Bakanlar üst düzey ziyaretlerin takas etmesi de dahil olmak üzere stratejik ortaklığın her bir alanının daha da pekiştirmesi yönünde aktif olarak çalışmaya sözleştiler.
Birleşmiş Milletler kapsamındaki işbirlik de dahil olmak üzere Uluslararası Kuruluşlar çerçevesinde Gürcistan ile Türkiye'nin mükemmel işbirliğinin altını çizildi.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიის ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა.
ილია დარჩიაშვილმა და ჰაკან ფიდანმა მიმოიხილეს ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი საკითხები.
მინისტრებმა კმაყოფილება გამოთქვეს გენერალური ასამბლეის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და თურქეთის პრეზიდენტს შორის გამართული შეხვედრის გამო, რაც მათი შეფასებით ორი ქვეყნის მჭიდრო მეგობრობისა და პარტნიორობის მორიგი გამოხატულება იყო.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს რეგიონში არსებულ ვითარებას.
მინისტრებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი რეგიონის მდგრადი და სტაბილური განვითარებისთვის მშვიდობის უზრუნველყოფის აუცილებლობას და აღნიშნეს ამ პროცესში როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის განსაკუთრებული როლი.
მინისტრები შეთანხმდნენ აქტიურად იმუშაონ სტრატეგიული პარტნიორობის ყველა მიმართულების კიდევ უფრო განმტკიცების კუთხით, მათ შორის მაღალი დონის ვიზიტების ურთიერთგაცვლის საკითხზე.
ხაზი გაესვა საქართველოსა და თურქეთის ბრწყინვალე თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაერო-ს ფარგლებში.

### “Gürcistan’da Üret” Ajansı Elektrik Enerjisi Üretimi Finanse Edecektir

### "აწარმოე საქართველოში" ელექტროენერგიის წარმოებას დააფინანსებს



“Gürcistan’da Üret” Ajansının Business-Universal bileşenine bir ekonomik faaliyet daha- elektrik enerjisi üretimi eklendi.
Söz konusu ekonomik faaliyet kapsamında kredi/finansal kiralamadan faydalanmak için işletme güneş, rüzgar veya su enerjisi üretmelidir ve şiddetleri 0.5 megavati aşmamalı. Su enerjisi durumunda küçük HES’ler öngörülüyor.
Business Universal programının amacı Gürcistan’da girişimciliği geliştirmek, üreticileri desteklemek, yeni işletmelerin kurulmasını teşvik etmek, mevcut işletmelerin genişletilmesine ve modernize

edilmesine yardım etmektir, bununla birlikte paraya ulaşılırlığı artarak özel sektörünün rekabetçiliği arttırmak.
Enerjinin yanı sıra Business Universal programı kapsamında sanayi sektörü, otel endüstrisi, balneolojik sağlık tesisleri, turistik hizmetleri, tarım ve ekoturistik endüstrisi de finanse edilmekte.

სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ბიზნეს-უნივერსალის კომპონენტს კიდევ ერთი ეკონომიკური საქმიანობა - ელექტროენერგიის წარმოება დაემატა.
აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში სესხით/ლიზინგით სარგებლობისათვის სავალდებულოა, ობიექტი აწარმოებდეს მზის, ქარის ან ჰიდრო ენერგიას და მათი დადგმული სიმძლავრე 0.5 მეგავატს არ აღემატებოდეს. აღსანიშნავია, რომ ჰიდროენერგეტიკის შემთხვევაში საუბარია მცირე ზომის ჰესებზე.
"ბიზნეს უნივერსალის" პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, არსებული საწარმოების გაფართოების და გადაიარაღების ხელშეწყობა, აგრეთვე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებით.
მცირე ენერგეტიკის გარდა, „ბიზნეს უნივერსალის“ პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ინდუსტრიული დარგი, სასტუმრო ინდუსტრია, ბალნეოლოგიური კურორტები, ტურისტული სერვისები, აგრო და ეკოტურისტული ინდუსტრია.

## Gazlı İçecekler İhracatı

## გაზიანი სასმელების ექსპორტი



2023’ün ilk 8 ayında Gürcistan’dan yıllık %49 artış gösteren 75.6 milyon dolar değerinde gazlı ve şekerli içecekler ihraç edildi.

**En Çok Gazlı İçecekleri İhraç Edilen 5 Ülke Listesi Aşağıdaki Gibidir:**

1) Rusya Federasyonu- 42 milyon dolar, 54 bin ton, büyüme %97;
2) Azerbaycan- 9 milyon dolar, 13 bin ton, büyüme %9;
3) Kazakistan- 8.6 milyon dolar, 12.8 bin ton, büyüme %117;
4) Ermenistan- 7.6 milyon dolar, 9.5 000 ton, düşüş %3;
5) İsrail- 2 milyon dolar, 2.7 000 ton, düşüş %35.

Yukarıdaki verilere göre, limonatalar ve gazlı içecekler şarap, hafif araçlar ve demir alaşımlarından sonra Gürcistan'ın Rusya'ya ihraç ettiği ürünlerin sıralamasında 4. sırada yer almaktadır.

2023 წლის პირველ 8 თვეში საქართველოდან 75.6 მილიონი დოლარის ღირებულების დაგაზიანებული და შაქრიანი სასმელები გავიდა ექსპორტზე, რაც წლიურად 49%-ით არის გაზრდილი.

**გაზიანი სასმელების 5 უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა ასე ნაწილდება:**

1) რუსეთის ფედერაცია - 42 მილიონი დოლარი, 54 ათასი ტონა, ზრდა 97%;
2) აზერბაიჯანი - 9 მილიონი დოლარი, 13 ათასი ტონა, ზრდა 9%;
3) ყაზახეთი - 8.6 მილიონი დოლარი, 12.8 ათასი ტონა, ზრდა 117%;
4) სომხეთი - 7.6 მილიონი დოლარი, 9.5 ათასი ტონა, კლება 3%;
5) ისრაელი - 2 მილიონი დოლარი, 2.7 ათასი ტონა, კლება 35%.

ამ მაჩვენებლით, ლიმონათები და გაზიანი სასმელები რუსეთში საქართველოს რიგით მეოთხე უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტია ღვინის, მსუბუქი ავტომობილებისა და ფეროშენადნობების შემდეგ.




## Avrupa Birliği TikTok'a 367 Milyon Dolar Para Cezası Verdi

## ევროკავშირმა TikTok-ს $367-მილიონიანი ჯარიმა დაუწესა



Twitter (X) Herkes İçin Ücretli Oluyor

ტვიტერი (X) ყველასათვის ფასიანი გახდება



ABD'nin Borcu İlk Kez 33 Trilyon Doları Aştı

აშშ-ის ვალის მოცულობამ რეკორდულ $33 ტრილიონს მიაღწია




TOSHIBA 14 Milyar Dolara Satıldı

TOSHIBA 14 მილიარდ დოლარად გაიყიდა



Tayland Tesla, Google ve Microsoft'tan 5 Milyar Dolarlık Yatırımı Bekliyor

ტაილანდი Tesla-ს, Google-ისა და Microsoft-ისგან $5 მილიარდის ინვესტიციას ელის

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Apple Hindistan’daki Üretimi Beş Katına Çıkarmayı Planlıyor

Apple-ი ინდოეთში წარმოების გახუთმაგებას გეგმავს






Gürcistan’da Bankalardaki Mevduat Miktarı 48 Milyar Lari’ya Ulaştı

საქართველოში ბანკებში არსებული დეპოზიტების ზომამ ₾48 მილიარდს მიაღწია

Gürültü Sınır Değerini Aşan Gerçek Kişilere 150 Lari, Tüzel Kişilere İse 1500 Lari’lik Ceza Kesilecektir

აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის ფიზიკური პირები 150 ლარით, იურიდიული პირები კი 1500 ლარით დაჯარიმდებიან



ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6681 TRY/GEL – 0.0981 EUR/GEL – 2.8381 GBP/GEL – 3.2647

USD/GEL
18 - 26 Eylül 2023



USD/TR
18 - 26 Eylül 2023



TRY/GEL
18 - 26 Eylül 2023



BTC – 28 852. 9
18 - 26 Eylül 2023

